



საკრედიტო ხელშეკრულება N
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

თარიღი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: %
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %

ფინანსური ხარჯები:

- ყოველთვიური შენატანები: თანდართული გრაფიკის შესაბამისად;
- ვადის ბოლოს შენატანი:
- კრედიტის დაჩქარებული წესით გაცემის ერთჯერადი საკომისიო:
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო:
- კრედიტის ვადის გაგრძელების საკომისიო:

დამატებითი სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- კრედიტის გაცემის თარიღი:
- კრედიტის დაფარვის თარიღი:
- კრედიტის ვადა: -- დღე. ვადის ამოწურვისას, დარიცხული საპროცენტო სარგებლის სრულად დაფარვის შემთხვევაში, ხელშეკრულება გაგრძელდება (პროლონგირდება) პერმანენტულად იმავე ვადითა და პირობებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: ა) თუ ბანკმა შეცვალა საპროცენტო განაკვეთი. ბ) მსესხებელი უარს განაცხადებს პროლონგირებისათვის გათვალისწინებული საკომისიოს გადახდაზე.
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:
- კრედიტის თანხა და ვალუტა :
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:
- კრედიტის დაფარვა: [თანდართული გრაფიკის შესაბამისად];

სხვა მოსალოდნელი ხარჯი:

- პირგასამტეხლო: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის --%. ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ს ყოველდღიურად. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობას.
- გირავნობის საგნის რეალიზების საკომისიო: 20 (ოცი) ლარი.
- უზრუნველყოფის საგნის შენახვის საზღაური: 1 კალენდარული დღე 0.50 ლარი.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს უზრუნველყოფის საგნის შენახვის საზღაური, აღნიშნულის შესახებ ბანკი აცნობებს მსესხებელს ცვლილებამდე ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - ერთი თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით.

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად ან წერილობით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში სტანდარტული წერილობითი ფორმით, თავისუფალი წერილობითი ფორმით ან ელექტრონული

ფოსტის

მეშვეობით შემდეგ მისამართზე: **info@vtb.ge**

გაეცანით მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას
საქართველოს ეროვნული ბანკის
ვებ გვერდსა <http://.nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე +995 (032) 2 406 406

საკრედიტო ხელშეკრულება N

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ----- (შემდგომ "ბანკი"), წარმოდგენილი ----- სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე, ერთის მხრივ და ----- (პირადი ნომერი: ----- (შემდგომ "მსესხებელი"), მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკი გასცემს კრედიტს, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი და გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 მსესხებლისათვის ცნობილია, რომ ბანკის წინაშე ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც დავალიანების დასაფარი თანხა საკმარისი არ არის ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა. თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას დავალიანების დაფარვისას, კერძოდ, დავალიანების დაფარვის დოკუმენტში არ იქნება განსაზღვრული ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა, მაშინ ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს აღნიშნული რიგითობა.

მუხლი 2. საბანკო კრედიტის ოდენობა და დაკრედიტების პირობები

2.1. კრედიტის ოდენობა და ვალუტა:

2.1¹ მსესხებლის მიერ გადასახელი მთლიანი თანხის ოდენობა:

2.2. კრედიტის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით მისაღები თანხა:

2.3. საბანკო კრედიტის ვადა: -- დღე.

2.3¹ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

2.4. საბანკო კრედიტის ვადის ამოწურვისას, დარიცხული საპროცენტო სარგებელის სრულად დაფარვის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება (პროლონგირდება) პერმანენტულად იმავე ვადითა და პირობებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

2.4.1 თუ ბანკმა შეცვალა საპროცენტო განაკვეთი.

2.4.2. მსესხებელი უარს განაცხადებს პროლონგირებისათვის გათვალისწინებული საკომისიოს გადახდაზე.

2.5. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ხელშეკრულების ავტომატურ გაგრძელებაზე.

2.6. ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელებისას მხარეებს შორის ფორმდება გადახდის ახალი გრაფიკი და მსესხებელს ეკისრება პროლონგაციის საკომისიოს გადახდა __ ლარის ოდენობით.

2.7. საპროცენტო სარგებელი:

ა) კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული

ბ) კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი %

2.8. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: წლიური %

2.9. ბანკის მიერ გირავნობის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გადაახდევინოს მსესხებელს საკომისიო 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

2.10. ფინანსური ხარჯი:

2.10.1. ყოველთვიური შენატანები: (თანდართული გრაფიკის შესაბამისად), ამასთან გადახდა განხორციელებულად ჩაითვლება გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, თუ შესაბამისი თანხები

მსესხებლის მიერ გადახდილი იქნება გადახდის დღის 24:00 საათამდე (თბილისის დროით).

2.10.2 კრედიტის გაცემის/პროლონგაციის საკომისიო თანხა: __ ლარი;

2.11. ბანკი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს პირგასამტეხლო: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის __ %. ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ს ყოველდღიურად. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობას.

2.12. საბანკო კრედიტის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვა უნდა განხორციელდეს კრედიტის ვადის ბოლოს.

2.13. კრედიტის ძირითადი თანხის ნაწილობრივ წინასწარ დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წინასწარ დაბრუნებული თანხის ღირებულების ექვივალენტი ძვირფასეულობის უზრუნველყოფიდან განთავისუფლება. ასეთ შემთხვევაში მოხდება ახალი ხელშეკრულების გაფორმება [ახალი კრედიტის გაცემა] და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის დაფარვა.

2.14. მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულებების შესასრულებლად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა.

2.15. საბანკო კრედიტის განსხვავებულ ვალუტაში დაფარვის შემთხვევაში, თანხის კონვერტაცია წარმოებს მსესხებლის ხარჯზე ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

2.16. მსესხებელი ვალდებულია მისი საგადასახადო სტატუსის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს.

2.17. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელმა შეიძლება წარადგინოს ბანკში არსებულ პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფში თავსართში მითითებული გზით. პრეტენზიაზე პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. პრეტენზიების განხილვის პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: vtb.ge.

2.18. მსესხებელი თანახმაა მასზედ, რომ კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში ბანკი ცალმხრივად შეცვლის დაფარვის გრაფიკს და მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ამ ახალი გრაფიკის მიხედვით.

3. კრედიტის უზრუნველყოფა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად მსესხებელი გირაოში დებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას (შემდეგომ "გირავნობის საგანი"), რომელიც გადაეცემა ბანკს მფლობელობაში. გირავნობის საგნის დახასიათება მოცემულია შეფასების ქვითარში N

3.2 მსესხებლის განცხადებით გირავნობის საგანი წარმოადგენს მის საკუთრებას, არის უფლებრივად უნაკლო, ანუ არ არის მესამე პირთა უფლებებით დატვირთული და დავის საგანს არ წარმოადგენს.

3.3 თუ მსესხებელი კრედიტის დაფარვიდან 3 საბანკო დღის განმავლობაში არ გაიტანს გირავნობის საგანს, მსესხებელი იხდის გირავნობის საგნის შენახვის საზღაურს ბანკის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად (1 კალენდარული დღე 0.50 ლარი). ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს აღნიშნული ტარიფი. აღნიშნულის შესახებ ბანკი აცნობებს მსესხებელს ცვლილებამდე ორი თვით ადრე, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით.

3.4. თუ მსესხებელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, მსესხებელი ამ ხელშეკრულებით ბანკს აძლევს დავალებას მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია ნებისმიერი ფორმით, მათ შორის მესამე პირისთვის პირდაპირი მიყიდვის გზით და მიღებული თანხა მსესხებლის სახელით მიმართოს საკრედიტო დავალიანების დასაფარავად.

3.5. თუ გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად ვერ დაფარავს მსესხებლის ვალდებულებას ბანკის მიმართ, ბანკის მოთხოვნა მსესხებლის მიმართ წყდება.

3.6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საფოსტო და სხვა ხარჯები ეკისრება მსესხებელს. ბანკი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გაიღოს ასეთი ხარჯები და შემდგომ აინაზღაუროს მსესხებლისგან ან გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან.

3.7. სხვაობა ამონაგებ თანხასა და მსესხებლის დავალიანებას შორის ჩაირიცხება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე.

4. სხვა პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

4.2. მსესხებელი ვალდებულია კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისა და გირავნობის საგნის გატანის განზრახვის შესახებ წერილობით შეატყობინოს ბანკს ერთი სამუშაო დღით ადრე.

4.3. მსესხებელი თანახმაა, რომ კრედიტის დაფარვა (თანხის შეტანა/ჩარიცხვა) მოახდინოს მესამე პირმა.

4.4. მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ასევე გადასცეს ბანკის აქციონერს ან ვითიბი ჯგუფის ნებისმიერ წევრს.

4.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების მსესხებლისგან ამოღების მიზნებისათვის, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.

4.6. ბანკი უფლებამოსილია გადასცეს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ მსესხებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

4.7. ბანკი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.8. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი პირი თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემი იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

4.9. კონტრაქტის უცხადებს ბანკს - ჩემთვის ცნობილია, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემს შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნებისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. ჩემი მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ უფლებამოსილია ჩემი სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ჩემი საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩემი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

4.10. მსესხებელი ადასტურებს, რომ მას არა აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან (“შელ ბანკი”)

4.11. ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან,

ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

4.12. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

4.13. ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს მსესხებელს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებულ მისამართზე ან მსესხებლის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე-5 მუხლში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მსესხებლის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება მსესხებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება მსესხებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

4.14. შეტყობინება მსესხებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

4.14.1. პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის მსესხებლისათვის ჩაბარების დღეს.

4.14.2. კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან მსესხებლისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

4.14.3. ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - მსესხებლის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

4.14.4. ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

4.15. ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მსესხებელზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე მსესხებლის

ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან მსესხებელი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს მსესხებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას.

4.16. თუ მოხდა მე-5 მუხლში მითითებული მსესხებლის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი მსესხებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

4.16¹ წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა შორის გათვალისწინებული ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.16² სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სახედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

4.17. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემა მხარეებს.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები:

"ბ ა ნ კ ი"	"მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი"